

1-15 სტრ., 1v

რაცა აკლია ქართლის ცხოვრებას

წელსა ქ~კს ჩღმდ ქართულსა ჟღბ: წარმოველინა ხონთქარსა, რათა წარიყვანოს ლეკთა იგი ამის მიერთო მულხუარ გივიცა ეს ესმა ხანს ტფილის შეკრიბნა ყიზილბაშნი,

და მოუწოდა ქართველთა და თეიმურაზს: მერე შეკრებულნი ყოველნი მოვიდნენ გორს

ხოლო ურუმნი იდგნენ რუისს, და მოვიდნენ იედო წმინდას, მიეგება ხანი თეიმურაზითურთ და ქართველნი იძლივნენ ოსმალთაგან და შემოვიდნენ გორს მოვიდნენ ურუმნი, და მოადგნენ გარს და წარგზავნეს სპითა დიდითა საგანძური იგი, ლეკთა ესე აცნობა ხანმა და თეიმურაზ ერეკლეს, ესე შეკრიბა კახთა ალვანითა და შეუკრა არაგვის პირი ჭალა მოსრულთა ურუმთა, ამათ უწყეს თოფთა ცემა, აოტეს ოსმალნი და მოსრნეს მრავალნი, გარნა წარიღეს საგანძური იგი და მოვიდნენ გორს ლტოლვილნი ამისი მხილველი ურუფ ფაშა აიყარა და წარვიდა ვ~ა მეოტი, ხოლო ხანი და თეიმურაზ გამოვიდნენ გორიდან, და აღიღეს ალაფი ოსმალთა მრავალი, შ~დ მოიქცნენ ესენი ტფილისს და აცნობეს ყოფილი შანადირს. ესე განიხარა ფრიად შანადირ, და მოსცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს მესა მისსა კახეთი და მერე მოვიდა თეიმურაზ ტფილისსა.

1-26 სტრ., 2r

აშიაზე

*ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი რ~ლ არასად შემთხვეულარს ესევითარი მით რ~ ყოველთა შორის ჟბოროტესმან თაზის შვილმა ტარიელ მოკლა ხანჯლითა კათალიკოზი ნიკოლოზ და იგი განლტოლვილ განიტვინა ქვემო სატვიოსა რიყესა ზედა*

*და ნაცვლად მისსა ჰყვეს კათოლიკოზად, [შესარიონ კაცი ღმერთ შემოსილი და წმ...] ანტონი მეფის იესეს ძე:*

ხ~ წელსა ჩღმე ქ~კს ჟღა განძვინდა გული ნადირისა ყოველსა სპარსეთსა ზ~ა და წარსწერა არბაზი, წელსა ამას დასდებენ ქართველნი ეპოხად ანუ ქორონიკო ნად რ~ლსაცა უწოდებენ არბაზობის წლად ხვედრსა ამას ქართველითაცა შეჰხვდათ ორმოცდა ათი ათასი თუმანი რ~ლისა გამო მიეცნენ ერნი ჰმუნვასა დაიწყეს განზნევიად უცხოთა ქვეყანათა მხილველი ამის მეფე თეიმურაზ წარვიდა იძულებული წ~ეყენ

ისა რათა განარინოს სამეფო თვისი. ესე ვითარისა სიმძიმისაგან და ოდეს მიიწია თავრიზს მუნ სცნა სიკჳდილი ნადირისა რ~ლიცა მოიკლა მამადხან ყაჯრისა მუსა ბეგ ირილელისა და ყოჯაბეგ გუდუზელისაგან ბირებითა ძმის წულისა მისისა ალიყულ ხანისათა რომელ მასცა შეხვდა არაბაზსა ამას ურიცხვი ჯურუმი, და იქმნა ალიყული ხან ყაენად რომელსაცა უწოდეს ადილშაჰდ: მაშინ თეიმურაზ მეფე არაღარა მოიქცა ტფილისად ა~დ წარვიდა წინაშე ყაენისა ვინადგან იყო სიძე მისი, ჟამსა ამას ორგულექმნა ადილშას ძმა მისი იბრეიმ ხან რ~ლიცა იყო ბეგლარბეგი ისპანისა: ამან მოკლა ზორაბ ხან სააკაძე ვეზირი ადილშაისა, ხ~ ესე იქმნა და

საბამი სიძულილისა ძმათაშორის, მოვიდა ესე ადრიბეჟანს და მოუწოდა თვსთა თან  
ა ამირა ასლანხანს რომელიცა იყო ესე დადგენილი ბეგლარბეგად ნადირისაგ  
ან ადრიბეჟანსა შინა: ესე მოვიდა მისთანა: სცნა რა ესე ადილშაჰმ მოვიდა ზანგ  
ანს იკვეთნენ მუნ იძლივა ადილშაჰ უკასანსკნელ შეიპყრეს და აღმოხადა თვა  
ლნი იბრეიმხანმან, ხ~ დაუტევა მუნ ამირ ასლანხან გამგედ და თვთ წარ  
ვიდა ჰამადანს, სცნეს რა ესე ხორსანელთა მაშინ გამოიყვანეს ციხით შარუხ  
მირზა ძე რიზა ყული მირზასი და ძის ძეი ნადირისა რ~ლიცა ჰყვა პყრობი  
ლად მაშინ ადილშას შ~დ მოწყვეტისა ძეთა ნადირისათა რ~ლიცა მოსწყვიტნა მან  
და დასვა ესე განძრახვითა ამით უკეთუ ერანელთა არა ინებოს მონებად ადილშაჰ  
სა და მოითხოვონ მეფედ ძევე ნადირისა მაშინ გამოიყვანოს ესე და დააცხროს  
ამით რუდუნი ერთა ამათ:

ხ~ მოვიდა ყილიჯი ალიხან განჯით მხედრობითა, ესე ალიხან რ~ლიცა პირველ იმ  
ყოფებოდა ტფილისს ხანად მოიყვანა ამან საამ ვინმე, რ~ლსაცა უწოდდა სეფაბითა

1-25 სტრ., 2v

შთამომავლობათაგან და შეუგზავნა კაცი მოსრულ მან კუმისს მეფესა ირაკლის რათა  
ემონოს,

და წარუგზავნა დაბეჭდილი თეთრიცა სახელსა ზ~ა საამისასა, გარნა იძლივა რა  
მეფისაგან

მსწრაფლ უკუნიქცა, ჟამსა ამას ორგულ იქმნა იბრეიმ ხანს ამირასლან ხან და მო  
ადგა შუშის, ხ~ ციხეცა ქალაქისა განამაგრა დურან ხან ბეგმან რ~ლიცა იყო  
დადგენილ

სპარსთაგან მცველად და ციხესა ამას შეერთდნენ ციხელნი თათარნი, სცნარა ესე  
აბდულა

ბეგმან ძემან მეფისა ისესესამან რ~ლიცა ჟამსა მას დადრგენილ იყო განმგედ ბარათიან  
თა ზ~ა მეფისა თეიმურაზისაგან ესე ორგულექმნა მეფესა ირაკლის და სთხოვა  
ამირასლან ხანს მჯედრობად, ხ~

მანცა წარმოუგზავნა, მაშინ მოვიდა სოლოსაკსა ზ~ა უეცრას განვიდა მეფე მცირედი  
თა მჯედრობითა ვინადგან მაშინ მცირე ჰყვა მხედრობად განვიდნენ ერთისა უკუღ მჯ  
რით მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფ~დ მხნედ იძლივნენ მჯედრობანი  
სპარსთა და ბ

არათიანთანი ესრეთ რომელ ერთი იპყრობდა ათსა, ხ~ ერთმან მეზაღემანცა შეიპყრა  
ცხრაჲ

ყიზილბაში და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი და შეიქცა მეფე ქალაქად  
გამარჯვებული,

მაშინ გამოვიდა ლეკი და მოარბივა ავჭალა და მარტყოფი და წარვიდა: ხ~ მეფე  
განვიდა საყ

ინულესა თანა წყალსა ტივებითა ვინაიდგან არა ძალ იდებოდა კარსა ავლაბარისასა.  
განსვლა რომელ მეტეხიცა აქვდათ გამაგრებულ ციხელებს შთავიდა ქიზიყს  
შემოკრი

ბნა მჯედრობანი კახთანი ეწია ლეკთა  
აშიაზე

დანდისხ და სძლო: ეჰა საკვირველი რ~ლ დევნასა მას  
ლეკთასა წარმოიქცა ფლატე ივრისა და მოსწყვიტნა ჟმეტეს  
სამასისა ლეკნი ცხენი თურთ მოტანითა ქვეშე

და სძლო და უკმოქცეული მოვიდა ღამესა მას.

და დადგა დედოფლის წყლისა ზ~ა, ხ~ ლტოლვილნი იგი ლეკნი მიიწივნენ რა  
ალაზანს

მუნ იხილეს ხოჯას ლეკი ვინმე რომელსაცა ჰყვა შეყრილობაჲ ლეკთა და სწადდა  
გამოსვლ

და კახთა ზ~ა: მაშინ შეერთდენ ესენი ღამესა მას, და დაეცნენ განთიად თავსა ზ~ა  
მეფესა,

გარნა იძლივნენ, მაშინ და შემოიკრიბნა მუნ მეფემან ირაკლი მკედრობანი კახთანი  
ს~დ გო

რიდამცა შთამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი ბოჭორმისად წოდებული, და აიღეს  
მეტეხი ხ~ უკანასკნელ თაბორი და თაბორითა იწყეს რა ცემა ზარბაზნითა მით შეჭირ  
ვებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფესა, სცნა რა იბრეიჰ ხანმან ორგულეზაჲ ამი  
რასლან ხანისა წარმოვიდა მას ზ~ა, ხ~ ძლეული ამირასლანხან შეიპყრეს ყარადაღს და  
მიიყვანეს იბრეიმ ხანისა წინაშე რომელმანცა წარკვეთა თავი, და იწოდა იბრეიმ ხან  
ყაენად, ესე იგი იბრეიმ შაჰად და წარვიდა შარუხსა ზ~ა სადაცა მკედრობათა მისთა  
შე

1-25 სტრ., 3r

შეიპყრეს იგი გზასა ზ~ა და მიიყვანეს შარუხ ხანისა წინაშე და მან წარკვეთა მას  
თავი, ხ~ შარ

უხსაცა ქურითთა ხაბუშანისათა აღმოჰხადეს თვალნი და ჰყვეს მაშათსა შ~ა  
კელმწიფედ, და

იქმნა ერანსა შ~ა ფრიადი აღრეულობაჲ. ხ~ მეფე თეიმურაზცა მოვიდა წელსა ჩღმჴ  
ქ~კს ჟღვ, ჟამსა ამას მოადგა მამად ხან ყაჯარი ერთი იგი მკვლელთაგანი ნა  
დირისა ერევანს და ლამოდა დაპყრობასა მისსა ევედრნენ ერევნელნი მეფესა  
თეიმურაზს

და წარვიდა ესე მკედრობითა, სძლო მამად ხანს აილო ფრიად ალაფი. განარინა  
ერევანი მო

ოხრებისაგან გარნა და მოხარკე ჰყო: მან ერევნელნი

ხ~ მოვიდა წელსავე ამას ფანახან განჯას, მაშინ წარვიდა მეფე თეიმურაზ ძითურთ  
თვისით

მეფე ირაკლით შველად განჯისა, სცნა რა ფანა ხანმან მიმავალობა მათი დაუტევა  
გარმოდგომა.

განჯისა და უკუნ იქცა ყარაბაღად: სცნეს რა ესე მეფეთა შეუდგნენ უკანა ამას, და  
შთავიდნენ ყარაბაღს ეკვეთნენ ყარათაბად წოდებულსა ადგილსა მუნ იძლია ფანა ხან  
ხ~ მკედრობამან ქართველთამან მოარბივეს ვიდრე ხუდაფრინამდე, და ესეოდენი  
იშო

ვეს ალაფნი რომელ ცხვარი იყიდებოდა აბაზად, ხ~ ცხენი, კამეჩი და ძროხა ხუ

თაბაზად და უკმოიცნენ ალაფითა გამარჯვებულნი, ხ~ წელსა ჩდმთ ქ~კს ჟღზ, შეერთდნენ მეფენი აჯიჩალაბისა შაქისა ხანისათანა სადაცა შემოიკრიბნეს მკედლობანი და წარვიდნენ ჭარსა ზ~ა და რაოდენ ევედრნენ ჭარენლნი მონებასა არა უსმინეს მეფეთა

და მივიდნენ რა ჭარსა ზ~ა მაშინ აჯიჩალაფიცა შეერთდა ჭარელთა და განტეხა ალთქმა.

თვისი. იძლივნენ მუნ ფ~დ მეფენი გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით. ხ~ ალაზანს შინა

ვინადგან გაუჭირდა მეფესა ერეკლეს გამოსვლა რომელ ქვევითნი იგი ქართველნი რომ

ელნიც მოაქვნდა წყალსა ეხვეოდენ ცხენთა განარინებისათვის, მაშინ ბებურის შვილ მან პაპამ მოსწყვიტა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით, ხ~ ვინადგან ნა პირი მდინარისა ალაზნისა არს ფლატოან ამად პაპამ მუნ ვერღარა აღიყვანა ცხენი მეფისა და ვირე მოატარებდა შორს ვირე ქვეითისა მყოფსა მეფესა შეემთხვევა ბოსტა

შვილი მაჩხანელი და მოართვა ცხენი და ესრეთ განერა მეფე, ხ~ ამასვე წელსა განძლიერდა აზათგან ავღანი სპარსეთსა შინა წარმოვიდა ერევანსა ზ~ა ევედრნენ უკუჭ ერევნელ

ნი მეფესა თეიმურაზს რომელმანცა წარუგზავნა მე თვისი ერეკლე შესაწევნელად

1-25 სტრ., 3v

სამიათასითა მკედრობითა მიიწივნენრა ყირიხბულახს იგიცა მოვიდა რომელსაც ჰყვანდა

უმეტეს ათურამეტიათასის კაცისა ეკვეთნენ მუნ იძლია აზატხან ქართველთაგან და განარინეს ერევანი და მოიქცნენ გამარჯვებულნი ფრიადითა ალაფითა ესრეთ რომელ მრ

ავალთა მოლაშქრეთა იშოვნეს ყათარობით აქლები და ჯორი: მაშინ მეფე თეიმურაზმან

მგდომმან მარაბდას სძლო ლეკთა და მოიკლა ბრძოლასა შინა ქალაქის მოურავი თარ ხნის შვილი იორამ, ხ~ გარდაიცვალა დედოფალი აზაშიძის ასული ანნა, და იქო რწინა მეფემან ირაკლიმ, დადიანის ასულსა ზ~ა: მხილველთ ხანებთა ადრიბეჯანის ათ ძლევისათვის აზატხანისა სთხოვეს მეფესა თეიმურაზს რათა წარვიდეს მკედრობითა დასაპყრობლად ადრიბეჯ

ანისა. და თანა წარიტანოს ესენიცა თანჯმობილი: ამას ზ~ა მეფე თეიმურაზ შთავიდა რა განჯას ძითურთ ერეკლეთი მაშინ მოვიდა წინაშე მეფისა ხანი განჯისა, შუში

სა და ყარადალისა, ხ~ ნებით მეფის ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე თუმცაღა არა სადა სწადდა მეფესა თეიმურაზს ესე ვითარისა უგვანისა საქმისა ქმნად, გარნა ვერღაცა აღუდგა ძესა თვისსა: ჰსცნა რა ესე ძემან აჯიჩალაბისა მან ალაქიშიმ გამოვიდა მტკვარსა ეკვეთა მეფეთა რ~ლთაცა ამხილა ღმერთმან ესე ვითარისა უსამართლო

ებისა ქმნად და დაჰყარნეს მუნ პყრობილნიცა იგი და ივლტოდნენ რ~ლთაცა

მიეცად ფრიად ნაკლუვანება, ხ~ იქმნა ესე წელსა ჩღნა, ქ~კს ჟღოთ  
მაშინ ძღევამემოსილი აღაქიში მიიწივა რა სახლად თვისად შეკრიბა  
მან მკედრობანი შაქისა შირვანისა და ლეკთა და წამოვიდა წელსავე ამას, ამო  
ვლო განჯა თანა წამოიყვანა ხანი განჯისა მკედრობითა თვისითა, ამოვლო შამშ  
ადილო და ყაზახი და მოვიდა ბაიდარს. სცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ წარგზავნა  
ძედ თვისი ირაკლი სტაფან წმიდას და მოუწოდა მხედრობასა ჩერქეზთასა: მაშინ მო  
ვიდნენ მკედრობანი ჩერქეზთანი გავიდნენ რა მეფენი ტფილისით მცნობმან აღაქი  
შიმ უწყო უკან ქცევად, მაშინ მეფენი უწივნენ შამშადილოსა შინა თულქითაფ  
ად წოდებულსა ადგილსა იკვეთნენ, მუნ იძლივა აღაქიში, რომელსაცა მიჰყვნენ  
კაფით შამქორამდინ: ხ~ წელსა ჩღნე ქ~კსა ჟმა, მოვიდა ნურსალ  
ბეგ ავარელი ფრიადითა მკედრობითა და მოადგა მჭადიჯვარს გარნა ერთმან მო

1-24 სტრ., 4r

ხუცმან დედათაგანმან დაუწვა მათ შვიდი საფარი მიტანილი ციხესა ზ~ა, და მოკლეს  
იგიცა ლეკთა მერვესა საფარსა ზ~ა, ხ~ სძლეს მუნ მეფეთა მათ და მოსწყვიტნეს  
ფრიად

ნი ლეკნი და სირხვილეულნი უკან იქცა სახლადვე თვისად, ხ~ წელსა ჩღნდ  
ქ~კს ჟმზ შეიკრიბნა ამავე მკედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელს  
მაშინ შეაშველეს მეფეთა დაუთალაზად ბებურის შვილი პაპა მდივანი სოლომო  
ნი ქებულის ძე, თაყაშვილი ფარემუზ რატი შვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი, და ს  
ხვანი კეთილ შობილნი, და განარინეს ციხე ესე, ხ~ ლეკთგან ვინათგან ვერარა ჰყვეს.  
უ

კუიქცნენ სირხვილეულნი: ხ~ ჩღნე ქ~კს ჟმგ იქნა კათოლიკ  
ოზი ანტონი ძე მეფის იესესი შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება კათოლიკისა  
რომელიცა განძვეებულ იქმნა მეფისა თეიმურაზისაგან რუსეთად, და მიიწია რა იგი  
რ

უსეთსა მუნ ეწყალობა ელისაბედ პეტროვნასაგან არქიერობად ვლადიმირისა  
აშიაზე

*ჟამსა ამას მოვიდ*

*ნენ ლეკნი შთამოსრ*

*ჟღი მთით და მო*

*აოხრეს რჟისპირი*

*გარდავლეს გონზო*

*რი და შთამვლეულ*

*ნი მიიწივნეს დე*

*დოფლის წყალს*

*შთამოსრჟღსა თოფ*

*ყარაჯას შთაეწ*

*ივნენ კახნი ქიზ*

*იყელი თჟრთ გარ*

*ნა იძლივნენ კახ*

*ნი და მოსწყდნენ*

ჟმრავლესნი, მჟნ  
რამოდენისამე თავა  
დთა ძეგები

თურთ, ხ~ აიყარნენ ბორჩალოენიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზ~ა ერევანს, მაშინ მეფემან ირაკლ იმ შეიყარა მკედრობა მოვიდა ერევანს და დაჰყარნა იგინი და გარდამოასახლნა ბორჩალოდვე, კ~დ შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ ღართის კარს წარტყვენეს ქარავანი ქართლისა, და მოკლეს მუნ მუხრანის ბატონი კონსტანტინე მიმავალთა მათ ლეკთა კახეთს, მსმენმან ირაკლი შეუკრნა მათ გზანი და მოსწყვიდნა სრულიად, კ~დ მოვიდნენ ლეკნი და მოაოხრეს ჯუგაანი, მაშინ მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი იმყოფებოდნენ ქიზიყს, და შეუდგნენ მეფენი უკანა მიეწივნენ და ~~ღირს ლტოლვილთა მათ ლეკთა დაეცა თავთა ფლატო იგრისა რ~ლიცა ჟამსა მას ლეკთა ლტოლვისასა წარმოაქცია ფლატო იგი და მოიტანა ვ~ე ქვეშესამას კაცამდე ლეკნი ცხენით ერთ თვისით~~ მახლობელ დანდისისა და მოსწყვიტნეს ლეკნი და მიჰდეს ყ~ი იგი ნატყვენავი: ხ~ წელსა ჩღნზ ქ~კს ჟმე, იქმნა ფრიადი სიყმილი ესრეთ რომელ ერნი იზრდებოდენ მდელითა და განიბნივნენ მრავალნი მცხოვრებნი, ხ~ მოვიდა მამადახან ყაჯარი რ~ლნცა დაიპყრა უმეტეს ნახევარი სპარსეთისა, და მოადგა შუშის, ამან იკმო თვი სთანა მეფე თეიმურაზ რომელმანცა იწყო მზადება წარსვლად მისთანა, ხ~ გა მოჩნდა რა შირაზს ქარიმხან მაშინ წარვიდა ესე მისს ზ~ა სადაცა გარდმოდგომა

1-26 სტრ., 4v

მასა ქალაქისა მისისასა დაეფანტნეს მკედრობანი და თვითცა ლტოლვილი მოიკლა მსახურისა მისგან რომელმცა მოჰკვეთა თავა და მიართვა ქარიმ ხანს და ნაცვლად ესე ვითარისა ბოროტ მოქმედებისათვის ბრძანა ქარიმხან მონისაცა მის სიკვდ ილი, ჟამსა ამას განავრცეს ლეკთა ჯდომად და გამოხდა ჩონჩოლმუსა მაშინ ორნივე მეფენი იყვნენ კრცხანვალს მოვიდნენ ლეკნი ზღუდერს, ხ~ მეფეთა ვერ თავს იდევს პირისპირ გამოსვლად ვინადგან არა ჰყავთ მკედრობად, მუნ იქმნა მცირედი კინკლაობა გატრიალდნენ მუნით ლეკნი მივიდნენ და აიღეს ალი და აღვიდნენ ახალციხეს: კ~დ მუნით შთამოვიდნენ სადაცა განიყვნენ ორად ჩონჩოლ მუსა მოადგა ავენევს, ხ~ კოხტა ატოცს, მეფეთა იკმეს შევლად მეფე სოლომონ რ~ლიცა გარდმოვიდა იმერთა მკედრობითა ხ~ მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფნეს მკედრობანი ქართლისა და კახეთისანი შეერთდენ იმერთა თანა დაეცნენ ატოცს და მოსწყვიტნეს ფ~დ, ხ~ ჩონჩოლმუსად მხილველი ამისი განივლტო ღამე, და ესრეთ განერა: ესე იქმნა წელსა ჩღ ხზ ქ~კს ჟმე: ხ~ წინა წელსა ამისსა ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატამეულისასა მუნ მოვიდნენ ლეკნი სადაცა მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზამბურს უმეტეს სამასისა მუნ მოიკლა ბრძოლასა შ~ა საამის შვილი ედიმერ: და წელსა ჩღნთ ქ~კს ჟმე მოვიდნენ ლეკნი ტეზერს მუნ სძლო მეფე მან თეიმურაზ გარნა ბრძოლასა შ~ა მოიკლა ციცის შვილი გლახა

გერი მეფისა თეიმურაზისა: ხ~ წელსა ჩღდ ქ~კს ჴმჭ წარვიდა მეფე  
თეიმურაზ რუსეთს: მეფემან ირაკლი კვალად სძლო სუხულიანსა შ~ა ფ~დ ლეკთა  
და მეფე თეიმურაზცა გარდაიცვალა წელსა ჩღდა ქ~კს ჴმთ და დ  
აფლეს ასტარხანს და იწოდა ირაკლი მეფედ ქართლისადცა: ამან მოიყვანა კა  
თოლიკოზი ანტონი რუსეთით და განაწყვეს შკოლა ახლისა ფილასოფიისა  
ბაუმესტერისა, რომელიცა რუსეთს ყოფასა შინა სთარგმნა [მან]კათოლიკოზმან  
რუსულით  
ქართულად, ხ~ განძლიერდა რა ქარიმხან სპარსეთსა შინა მაშინ ლტო  
ლვილი და დაცემული აზათხან მოვიდა მეფსა წინაშე და ევედრა შეწევ

1-26 სტრ., 5r

შეწევნასა, ხ~ ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმხანს რ~ლნცა ნაცვლად სამსახუ  
რისა მის უძღვნა მეფესა მადლობად საბოძვართურთ, ჟამსა ამას აღდგა ფ  
ათალიხან ავშარი მოიკრიბნა მკედრობანი ადრიბეჟანისანი და მოადგა შუშის  
და სთხოვა მეფესა შეწევნაი, ხ~ ამან მიაშველა მკედრობად და ოდეს წარმო  
ემართა ამათ ზ~ა ქარიმხან მაშინ არღარა წარყვენენ მკედრობანი ქართველთა  
ნი და მოიქცენ უკანვე ხ~ შავერდიხან განჯისა რ~ლიცა ჰყვა ფანას  
პყრობილად და განათავისუფლა ფათალიხანმან იგი მოვიდა მეფისა წინაშე რ~ლ  
ნცა წარატანა მკედრობანი აღიღეს კ~დ განჯა და ჰყვეს ესე ხანად: გარნა განჯელმან მ  
სახურმან უკვე შავერდიხანისა მოკლა ხანი და გამოაძეს განჯელთა ძენი.  
მისნი რომელნიცა მოვიდნენ მეფისა ირაკლისა წინაშე, ხ~ ამან წარატანა მკე  
დრობანი აღიღეს განჯა და ჰყვეს პირმშო ძე შავერდი ხანისა მაჰმადხან ხანად  
გარნა სძლო კ~დ მეფემან ყარაისა ზ~ა ლეკთა რ~ლთაცა განერყვნად გორის გარე  
მონი და დააყრევინა მუნ ყ~ი ნატყვენავი კ~დ სძლო ახმეტას ლეკთა და მოსწყვიტნა  
ფ~დ რომელნიცა დაეცნენ ახმეტას, კ~დ  
შეკრბნენ შეყრილობანი ლეკთანი და სწადდათ ზ~ა დასხმა სამაჩაბლოსა: ხ~ მე  
ფემან შეუკრნა კეხვი და მოსწყვიტნა სრულიად:  
აშიაზე:

*კ~დ მოვიდნენ შეყრილობანი ლეკთანი*

*და დაეცნენ*

*ბორჩალოს*

*და მოიტყვე*

*ნეს აღმამადლი*

*გარნა იძლი*

*ვნენ ფ~დ ბო*

*რჩალოველთა გან:*

*მუნ იყო მხ*

*ნედ თარხ*

*ანი გიორგი*

*მოჴრავი ბო*

*რჩალოსი რ*

*ომელთაცა მოს*

წყვიტეს უ  
მრავლესნი  
ლეკნი და წა  
რვიდნენ სი  
რცხვლიეჟლნი:

ხ~ წელსა ჩდდზ

ქ~ კს ჟნე შეითქვენენ მეფესა ზ~ ა ამილახორის შვილი დიმიტრი სა  
ხლთუხუცესი და ესე იყო მძახალი მეფისა, რ~ დაი მეფისა ელისაბედ ჰყვა  
ძესა მისსა გიორგის და გლახა ციცისშვილი, და თაქთაქის შვილი ელის  
ბარ ამათ მისცეს პირობაი პაატას ბატონიშვილს რ~ ლიცა იყო ესე არა  
რჯულიერი ძე მეფისა ვახტანგისა რ~ ლიც იმყოფებოდა მეფისა წინაშე, დ  
იდიოთა პატივითა, გარნა იყო კაცი ესე ფ~ დ მეცნიერ რათამცა წარსწყმი  
დონ მეფე ჰსცნა რა ესე მეფემან შიპყრა ესენი შეკრბენ ქარველნი და მო  
ჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა თაქთაქის შვილ ელისბარ  
და დიმიტრი პატიმარ ჰყვეს და შურაცხჰყვეს აღჯდომითა მისათა კარა  
ულსა ზ~ ა და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი გლახასაცა მოჰკვეთეს ენა,  
მოიკრიბნა კ~ დ მეფემან მკედრობანი  
და დაეცა ქურთთა ერევნისათა წარტყვენა და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა

1-26 სტრ., 5v

დიდიოთა: მაშინ ფამბაკი იყო რა ოჯერ გამოსთხოვა პირმშომან ძემან მისმან  
გიორგიმ და აღაშენა: კ~ დ შეიყარნენ ფრიადნი ლეკნი დაეცნენ თუშეთს გარდაემ  
ველნენ ფშაველნი სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორისა ათასისა და წარივლტინ  
ენ სირცხვილეულნი, განძებულ იყო რა მეფე სოლომონ იმერთაგან და ჩაიყ  
ვანეს რა მკედრობანი თურქთანი იმერთა რომელთაცა ჰყვეს თეიმურაზ ბიძაწული  
მისი

მეფედ თუმცაღა განსდევნა, მეფემან სოლომონ თურქნი და შეიპყრა თეიმურაზ  
და შესვა ციხესა როემლსაცა დაეცა მეხი და მოკვდა გარნა კ~ დ თურქთავე ეპყრა  
თ. რაოდენნიმე ციხენი და ვინაიდგან ერისთავი რაჭისა როსტომ არა ერჩდა რ~ ლ  
ისა გამო მეფემან იმერთამან იკმო მკედრობაღ ლეკთანი და წარსტყვენა რაჭა  
და ალაფითა სავსენი ლეკნი უკუნ იქცნენ რა თვისად მაშინ მცნობმან მეფემან ი  
რაკლიმ შეუკრნა იორი სადაცა მოსწყვიტნა სამასნი და მიულო ყოველნი ნატ  
ყვენავი, ხ~ მეფე სოლომონ ევედრა კარსა რუსეთისასა რათა მოსცენ მკედრობა  
ი. შესაწევნელად და მოვიდა გრაფ ტოტლებენი ექესი ათასითა მკედრობითა  
რუსთათა წელსა ჩდდთ ქ~ კს ჟნზ: სცნა მეფემან ირაკლიმ

მიეგება კოპს შეითქვენენ მეფე და ტოტლებენი რ~ ლიცა არღარა წარვიდა იმერეთ  
ად ა~ დ წარვიდენ ორნივე ახალციხესა ზ~ ა, წარმოიშვა შ~ ს მეფისა და გრაფისა  
სამდურავი სადაცა აწყურით დაბრუნდა გრაფი იხილეს რა დაბრუნება რუსისა  
ქართველთა იწყეს ლტოლვად ხ~ გზასა ზ~ ა შეემთხვა მეფესა მკედრობაღ დე  
ლუბაშებსა რომელსაცა სძლო მოვიდა და დაიბანაკა ასპინძას, ჰსცნეს თურქთა



უკუნქცევად ქართველთა და რუსთა ჰგონეს თურქთა რეცა შიშისაგან ივლტიან და შეუდ

გნენ უკანა ფ~დ მრავალნი მკედრობანი ლეკთა და თურქთანი: სადაცა მრავალნი ლეკნი იმყოფებოდენ ახალციხესა, ღამესა მას გამოვიდნენ უკვე ნახევარნი ხიდსა ასპინძისასა, და ნახევარიცა ღამობდნენ მეორესა დღესა გამოსვლად ღამესა მას წარგზავნა მეფემან სვიმონ მუხრან ბატონის შვილი ნასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შ~ა და ამცნო მათ რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა ხ~ მათ სრულ

1-28 სტრ., 6r

ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა: დღესა მეორესა იქმნა რა ბრძოლა იძლივნენ. ლეკნი და თათარნი ჰგონეს მათ ჳიდისა მის კ~დ გეზად რ~ლნიცა მიივლტნენ მუნ ესრეთ უკვე იყვნენ შიშნეულ რომელ ერთი მეორესა ჰყრიდა ხიდისაგან ისრებ ით მტკვართა შ~ა დღესა მას მოკლა მეფემან ჳელითა თვისითა კობტა ბელადი რ~ლიცა იყო ჩინებული მძღვანი ლეკთა და მოიშთვნენ უმეტეს წყალთა შ~ა ორისა ათასისა ლეკნი და თათარნი და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა სავსენი სახლად თვისა დვე: შთავიდა რა გრაფი სურამს გარდაევილო მთა საფიჩხისა და შთავიდა იმერეთს მოეგება

მეფე იმერთა სოლომონ მიუძღვა და აღიღეს ციხე ცუცხვათისა შორაპანისა, და ქუთაისისა, ~~[და მჭნით შთავიდა ფოთს] ჟამსა ამას იქმნა მომსრველი ჟამი საქართველოსა შ~ა: [ხ~ოღეს გრაფმან ვერ ჟძლო დაჰყრობა იკოთისა და მოიქცა ქუთაისთავე რ~ლისა მოადგილენი მოვიდა მჭნ ღენერალი სუხატინი და ესე წარვიდა როსიად~~

] აშიაზე:  
*მაშინ მოად  
გილედ მოვ  
იდა ღენერალ მა  
იორი სუხატინი,  
და გამოსცვალა  
ქუთაისს გრაფი  
ესე სუხატინო,  
შევიდა ფოთს  
და მოადგა გარ  
ნა ვერ ჟძლო  
დაჰყრობა  
და ჴემოიქცა ქარ  
თლი და წარვიდა  
როსიად:*

ჟამსა ამას წარვიდა კ~დ მეფე ქურთთა ზ~ა მოარბივნა იგინი და მოვიდნენ ქართველნი ფრიადითა ალაფითა ხ~ რუსნიცა უკუნქცნენ რუსეთადვე: წელსა

ჩღობ ქ~კს უდ რ~ლისა გამო მეფემან წარგზანა რუსეთად ძეი  
თვისი ლევან და კათალიკოზი ანონი, მოვიდნენ კ~დ შეყრილობანი ლევთანი ქარ  
თლში მაშინ ქართლისა და კახეთისა მკედრობანი იყვნენ შეყრილ გარნა იკვეთ  
ნენ უფლის ციხეს იძლევენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი განვიდნენ გ  
ორის ბოლოს ღიახვსა და წარვიდენ ახალციხესა: განივლტო ხიდირ ბეგის შვილი  
როსტომ ახალციხესა და მოუხდა ლეკისა შეყრილობითა და შევიდა კრცხანვალს მოა  
ოხრა გარე ციხისა და მრავალნი ტყვენი წარასხნა, ხ~ იყვნენ თურქნი განძვინე  
ბულ საქართველოსა ზედა და იყოფოდენ ლეკნი მრავალნი ახალციხესა შ~ა და სტ  
ყვენვიდიან ქართლსა: გარნა ჩვენნიცა მარადის უკდებოდიან და აოხრებდიან ჯა  
ვახეთსა ესრეთ რომელ ძეთა მელიქისათა გიორგიმ და ავთანდილ შეიპყრეს  
უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცითა მდევარნი თურქთანი: კ~დ უკდებოდიან და აო  
კრებდის ჯავახეთს და ზ~ა დასხმასა უყოფდის ლეკთა ხუდია და სხვანი  
ბორჩალოელნი და სხვანი ელნი ჩვენნი  
რომელთაცა მოიყვანეს კერძო ახალციხისა და ყარსისა ძრწოლასა  
აშიაზე:

*ხ~ შვერბენ ყაზახნი ბორჩალოელნი და ფ  
ამბაკელნი მოსტყ  
ვევნეს ნახჩევანი  
და სძლეს ხანსა მჟ  
ნებუღსა შუქურლას  
რ~ლიცა ეწივა მდევრად  
და მოიქცნენ ალაფითა დიდითა:*

შემთხვევასა ამას ექმნა

1-26 სტრ., 6v

ორგულ ფაშასა ახალციხისასა სულეიმანს ათაბაგსა იბრყიბეგს ხერთვისელი რ  
ლ~ნცა მოსცა ციხე მეფესა და ვინადგან შეაყენა მუნ მეფემან მცირენი ტალანი კ~დ  
მიუღეს ციხე თურქთა და ტალანთა მათთაგანი რომელნიმე ტყვე ჰყვეს და რომელ  
ნიმე განივლტნენ რომლისათვის მეფემან მოუწო და მეფესა იმერთასა სოლ  
ომონს და შემოიკრიბეს ორთავე მეფეთა მკედრობანი ქართველთა და იმერთანი.  
მივიდნენ ახალქალაქს და მოერტყნენ გარს იქმნა უძლებ მუნ მეფე იმერთა სო[მ]  
ლომონ რ~ლისა გამო უკმოიქცნენ გარნა ქართველთა მოსტყვენვეს ჯავახეთი,  
მუნით წამოსრულნი შთამოვიდა მეფე ირაკლი კრცხინვალს: ოდეს ჯდა სადილად  
მეფე მოვიდა ფ~დი შეყრილობანი ლევთანი და დაესხნენ ხვითებს აღმკედრდა თვით  
მეფე ამალითა თვისითა და სძლო ფ~დ და მოსწყვიტნეს მრავალნი, მუნ იყო მკ  
ნედ ჳიზიყის მოურავის შვილი იესე რ~ლნცა მოკლა ოთხი ხ~ აზაშიძესა იოანეს  
მოსწყვიტა თითო ლეკმა ჳლმითა, განვრცნა რა ჳდომვად შ~ს ქართლისა და  
ახალ ციხისა და იქმნენ ორნივე კერძონი შემჭირვებულ ამაღ ზავ ჰყვეს ურთ  
იერთარს და წარგზავნა მეფემან დესპანი თვისი ორ გზის მირზა გურგინაჲ  
ენაკოლოფა

შვილი რ~საცა [მორთვა ] მოემღვნა სულთანისაგან ამიდისა ორგზისვე ქერქი  
ჯრმალი აღკაზმული

ჰუნედ, და უმეტეს ათორმეტი ათასისა ოქროდ ხ~ ვეზირისაგან საათი ძვირ  
ფასი მოოჭვილი, ხ~ ახალქალაქისა ყოფასა მეფისასა მოვიდნენ ლეკნი ჭარ  
ისა კერძით და წარტყვევნეს სოფელი ფხოველი და წარიყვანეს ტყ  
ვედ მოურავის შვილის პაატას მეუღლე რომელიცა შეირთო უსეინ  
ხანმან კ~დ შეიყარა ნურსალ ბეგმან მჭედრობაჲ დიდი ლეკთა და შთავიდა  
შაქიშირვანსა კერძო მუნით უეცრად წარმოვიდა, და დაესხა ბოდბეს და იავარ ჰყო  
რაოდენიმე უბანი: მაშინ მჭნედ იყვნენ ბაღაანი ამოვიდა სიღნაღით მოურავი  
რევაზ ენდრონიკას შვილი მაღაროს სადაცა შეკრიბნენ ჯიზიყელნი სძლეს და  
მოსწყვიდეს უმეტეს ათასისა და მუნ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი  
ერთი სწადდა რა დამდაბლება მისი წაადრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დ  
იაცმან მან და ესრეთ განერა და წარვიდა ნურსალ სირცხვილეული, ხ~ ვ~დ

1-26 სტრ., 7r

შთამოვიდა ნურსალბეგ და შთავიდა შამახიას რომელსაცა უსტუმრა ფათალიხან ყუ  
ბელმა უღალატა და მოკლა იგი: ჟამსა ამას მოვიდა ფათალი ხან დარბანდისა  
უსეინ ხან შაქელსა ზ~ა ესე ევედრა შეწევნისათვის მეფესა: ამან მიაშველა მჭედრობ  
ანი თვისნი და განარინა უსეინხან,

აშიაზე

იქმნა კ~დ საკვირველი შემთხვევა ჟამსა ამას რ~ლ ბირებითა

ემშაკისათა

განივლოტო

დავითგარე

ჯისა მონას

ტერთა, მონა

ზონი დაყუდ

ებუღლი, [ჯანო]

[ლოტო] ლეკთა

შ~ა მოუღძუა

და ვინაიდგან

ციხისა კარნი

იყვნენ დახშულ

მუნ ვერა შესრ

ჟლმან აღ

მოიყვანა ლეკ

ნი წ~ისა ნიკ-

ოლაოზისა ეკლე

სიისა ხვრელიისა

დაფარულისა

გზით, და წარ

სტყვევნეს წ~და

ესე მონასტერი:

ხ<sup>~</sup> შეითქვენენ მეფე და შუშის ხანი იბრ

აიმ და წელსა ჩღჳ ქ<sup>~</sup>კს ჟღჳ აიღეს განჯა, და შეიპყრეს მამად ხან განჯისა სა  
ხლეულითურთ რ<sup>~</sup>ლიცა წარიყვანა იბრეიმ ხან ტყვედ და დაადგინნეს ორთავე გან  
მგენი თვისნი

აშიაზე

*ხ<sup>~</sup> ქართლით მომავალსა ქიზიყის მოურავის ასულს მეფის სძალსა ქეთევანს  
მეუღლესა პირმშოსა მეფის ძის გიორგისასა შეემთხვა ლეკნი ღართის კარს. და ოდეს  
არავინ ჰყვა*

*მას თავის თანა მეცნიერი ვინმე ბრძოლისა თვით განაწყო ვინცა ჰყვეს თანა მცირენი  
მორიგენი და სძლო ლეკთა ფ<sup>~</sup>დ რ<sup>~</sup>ლნიცა იყვნენ ჟმეტეს სამასი ლეკნი, მას ზ<sup>~</sup>ა ფ<sup>~</sup>დ  
მხიარულ იქმნა მეფე ირაკლი და ჟმეტეს კახთა მოსწონდათ  
თავი რ<sup>~</sup>ლნიცა არათჳ მამრთა კახთასა რაოდენ მკნედ ა<sup>~</sup>დ მდედრთაცა*

ხ<sup>~</sup> უკუდგა ყულარაღასი გიორგი ერისთავი ქსნისა ამას ზ<sup>~</sup>ა წარგ

ზავნა მეფემან ძეი თვისი გიორგი და ლევან რ<sup>~</sup>ლიცა შეიპყრეს და შთამოიყვანეს  
პყრობილად, თუმცაღა მეფე მან მიუტევა შეცოდებაჲ, გარნა მიუღო მათ ქსანი  
და მოუბოძა ძესა თვისსა გიორგის, ხ<sup>~</sup> ლიახვი იულონს, ვინადგან ლეკნი კ<sup>~</sup>დ  
აოჯრებდ

ნენ ქართლსა ილონისძია მეფემან და განაწყესა ყოველთა სახლთაგან კაცის  
თავს ერთი რაოდენიცა იყვნეს სახლსა მას შ<sup>~</sup>ა რათა მსახურონ თვითოსა თვესა  
მამულსა, მორიგედ წოდებული და ეგრეთვე განაწყო თოფხანა მებრ რუსეთისა  
კანონითა განასწავლა თოფჩები რ<sup>~</sup>ლიცა განაწყო ესენი ქიზიყის მოურავის შვილმან კ  
აატამ: [რ<sup>~</sup>ლიცა] ესე განსწავლილ იყო მოსკოვს, ხ<sup>~</sup> თვითცა მეფე ძეებითურთ თვისით  
დაეწერა მორიგედ და იხდიდა თვითოსა თვესა, უკეთუ გლეხთა დაიყოვნიან მაშ  
ინ იგინი წკეპლასა შ<sup>~</sup>ა განივლიან რაოდენსა დღესა დაიყოვნიან ეგოდენ  
გზის და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან ეგოდენ. დღე პატიმარ იქმნ  
ებოდიან: ესე ექმნა ქართლსა სარგებელ ფ<sup>~</sup>დ მით რ<sup>~</sup> თვით მეფემან რაოდენმე გზის  
აოტნა

ლეკნი ეგრეთვე მეფის ძემ გიორგიმ რაოდენმე ღართის კარსა შ<sup>~</sup>ა ეგრეთვე იორსა  
ზ<sup>~</sup>ა, ხ<sup>~</sup> ლევანმაცა მისაქციელსა და ჳიზიყსა შეიმოსა ფ<sup>~</sup>დი ძლევა ლეკთა  
ზ<sup>~</sup>ა. და მსგავსადვე თვით მორიგენიცა აოტებდიან მარადის გამომსვლელთა ლეკთა  
ესრეთ იქმნენ შიშნეულ ლეკნი, რ<sup>~</sup>ლ ვერღარა სადა იკადრეს გამოსვლადი და ეს  
რეთ დამშვიდდა ქართლი რ<sup>~</sup>ლ ღართის კარსა შ<sup>~</sup>ა დიაცნი თვინიერ მამაკაცისა  
ვიდოდ

იან, ხ<sup>~</sup> წელსა ჩღოთ, ქ<sup>~</sup>კს ჟღჳ არღარა ინება ხან

მან ერევნისამან უსეინყულიმ ხარკისა მოცემად ქართველთა რ<sup>~</sup>ლისა გამო წარვიდა

1-26 სტრ., 7v

მეფე მას ზ<sup>~</sup>ა იქმნა მუნ ბრძოლა სადაცა მუნ მკნედ აღმოჩნდა მეფის ძე  
გიორგი მუნ სძლო მეფემან ერევნელთა მკედრობასა მოხარკე ჰყო და მსწრაფლ

უკმოიქცა ამად ვინადგან იყო სამდურავი შს ირაკლისა და მეფისა შს იმ  
ერთასა სოლომონისა და ამან სოლომონ მოიყვანა ძე ბაქარისა და ძის ძე  
მეფისა ვახტანგისა, ალექსანდრე შირაზით: ურჩ ექმნა უკვე ძეი თვისი მეფესა  
იმერთასა სოლომონს, რლსაცა ეწოდა ალექსანდრე და რომლისა კიდე არა უვი  
დოდა სხვა ძე და მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე, ამან შეიწყნარა პატ  
ივსცა და დააგო ვდ მამასა რლისა გამო ზაამ ჰყვეს და მეფემანცა სოლომ  
ონ განუტევა ძე ბაქარისა ალექსანდრე წელსა ჩღპა ქკს ჟმთ  
აშიაზე:

*ჟამსა ამას მოვიდა თავრიზით მცბიერი ვინმე ამან აიჩემა გაკეთება ქიმიისა რლისა  
გამო ჟწოდეს შაზადა  
და ოდეს ვერარაჲ აღმოაჩი  
ნა მოქმედება თვისი  
და სცნეს  
სიკბილი მისი  
ამად შეჰამა თრი  
აქი და წარი  
წყმიდა თავი:*

შეედვა მწუხარებაჲ სახლსა მეფისასა მწუხარებაჲ სიკვდილისა გამო  
მეფის ძის ლევანისა, ხ წელსა ჩღპპ ქკს ჟო გარდაიც  
ვალა მეფე იმერთა სოლომონ, და ჰყვეს მეფედ დავით ძე გიორგისა ბიძა წ  
ული მეფისა სოლომონისა, და მოკვდა ხანი ერევნისა უსეინ ყული და ჰყვეს ხ  
ანად ძე მისი ყულამალი: ვინადგან ესე იყო გონება მსუბუქ მოკლეს ესე ერევ  
ნელთა სადაცა იძულებულმან მეფემან წარგზავნა მირზა გურგინა ენაკოლოფა შ  
ვილი და ჰყვეს უმრწემესი ძე უსეინ ალიხანისა მამადხან ხანად და განამ  
ტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევანს ხ წელსა ჩღპპ ქკს ჟოა.  
შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისასა რლსაცა წარმოგზავნა იმპერა  
ტრიცა ეკატერინამ ნიშანნი სამეფონი გრამმატა და ორი ბატალიონი მკედრო  
ბად რლნიცა შეიკრნენ უცვალელებლითა პირობითა, და წარგზავნა კარსა რუსეთისასა  
ორნი ძენი თვისნი ანტონი და მირიან: ამას ზა განძვინდა ფაშა  
ახალციხისა სულეიმან ათაბაგი [ჰჰ] აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრობა ქართლისა:  
ჟამსა ამას მოვიდა იარანალ პორუჩიკი პოტომკინი ამან დაუტევა მეფესა თანა  
იარანალ მაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსეთადვე, შეითქვნენ უკუფს ეს  
ენი ჰარსა ზა და წავიდნენ საქართველოსა და რუსთა მკედრობითა მიიწივნენ  
რა ურდოს მუნ შეემთხვათ მცირედნი მკედრობანი ლეკთანი სადაცა უქმნეს მათ  
მკედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნებაჲ და მოკლეს პრინცი  
მეკლენ

1-26 სტრ., 8r

ბჟრლი სტრელინგისა პოდპოლკოვნიკი და მუნით ვინადგან ვერლარა განვიდნენ  
მდინარესა ალაზნისასა სიდიდი  
სა გამო უკმოიქცნენ და წარვიდა სამაილოვიცა რუსეთად: განვრცნა

უკუჭ ტყვევნად ახალ ციხით ლეკთაგან სადაცა კ`დ შეკრბენ უმეტეს ორ ათასისა მკედრობისა მოვიდნენ და აღიღეს საქაშეთი და ტყვედ ჰყვეს სახლეული დიას ამიძისა სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთ მყოფთა მორიგეთა მოეგებნენ ჭალას იქმნა მუნ ბრძოლა მკნედ ბრძვეს ქართველთა იძლივნენ ლეკნი და ესრეთ შიშნულ იქმნენ რ`ლ მტკვართა შიგან შესრულნი მოიშთვნენ უმეტეს ათასისა კაცისა: მუნ დიაცმა ერთმან ტყვეთა ქართველთამან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მოიყვანა მკედრობასა შინა ქართველთასა, კ`დ შეკრბენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ ფხვენისს და ვინადგან მუნ ვერა რაჲ ჰყვეს უკუნ იქცნენ სადაცა მოხისს შეემთხვათ რუსნი და ქართველნი და ძლევა შეიმოსნეს ფ`დ მათ ზ`ა და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი ხ` წელსა ჩღპე ქ`კს ჟოგ გამოვიდა ომარხან ავარელი ძე ნურსალბეგისა გამოვლო იორი და ყარაია განვიდა მტკვარს მივიდა და აღიღო და მივიდა ახტალა და მივიდა ახალციხეს, მუნით შთამოვიდა აღიღო ვახანი და ტყვე ჰყო სახლეულნი აბაშიძისანი, ჟამსა ამას უკუდგა განჯაცა და გამოყარნეს მოურნენი მეფისა და იბრეიმ ხანისანი, განივლტო შუშით ძეი შავერდი ხანისა რაიმ ხან რ`ლიცა მაშინ ჰყვა იბრეიმ ხანს პყრობილად მივიდა და იქმნა ხანად განჯასა შ`ა, ხ` მოსრულმან იბრაიმ ხან განჯასა ზ`ა სთხოვა შემწეი მეფესა აღიღეს კ`დ განჯა და ჰყვეს ძე შავედი ხანისა ჯავად ხან ხანად აშიაზე

*რომელიცა მაშინ*

*ჰყვა მას*

*პყრობილად*

ხ` ომარხან მანცა განვლო გოგჩა მივიდა მოაოჭრა შამქორი და წარვიდა,

ხ` წელსა ჩღპე ქ`კს ჟოდ,

აშიაზე

*მაშინ ნახჩევენთა ჰყვეს შფოთი და გამოაძეს ნახჩევანით, ხანი თვისი*

*ქალბალი იგი*

*მივიდა და ევედ*

*რა ხანსა ერევნი*

*სასა. მოჰმადს ხ`*

*მამათხან ევედრა*

*მეფესა რათა შემ*

*წე ექმნას. მაშინ*

*მეფემან წარავლი*

*ნა მუხრანის ბა*

*ტონი იოანე*

*მხედრობითა და ზა*

*რბაზნებითა შეერთ*

*დენ ესენი ერევნელ*

*თა თანა მივიდნენ*

ნახევანს და იკვეთდნენ იძლევენ ნახეველნი და ევედრნენ ოდეს უკეთი უკუნ  
იქცვიან კ~დ ჰყო  
ფენ ნახეველნი ხანად თვისთა ზედა ქალბალის, და პირობითა ამით მოიქცნენ  
ერევანსა  
და ერევნით ქართლადვე ძლევა შემოსილნი,

აიყარა სრულიად ყაზახი და წარვიდა შუ  
შას და შამშადელი განჯას, შ~დ ერთისა წლისა წარვიდა მეფე მკედრობითა  
რუსთა და ქართველთათა, რათა აჰყაროს ელნი თვისნი და ხამსისა მელიქ  
ნიცა რ~ლთაცა აქვნდათ პირობად მეფისა თანა მიიწია რა განჯას წარგზავნა  
მკედრობითა ძე თვისნი იულონ მიიწივნენ რა ზეიბას შეემთხვათ მუნ

1-26 სტრ., 8v

მკედრობანი ყარაბაღელთანი იძლივნენ ყარაბაღელნი და მოსწყვიტნეს უმრა  
ვლესნი ქართველთა, შემთხვევასა ამას მოვიდა ჩაფარი განჯას რუსეთით [სადღაცა]  
სადაცა იხმეს მკედრობანი რუსთანი ა~დ უკუნიქცა რა რუსი არღარა ჯეროვნად რაცხა  
მეფემან წარსლვა ყარაბაღსა ზ~ა და უკმოიქცა მეფეცა განჯით და დაშთა ელნი  
აუყრელ

ნი და წარვიდა რუსი წელსა ჩღჰჰ ქ~კსა ჟოე წელსავე ამას მო  
კვდა კათალიკოზი ანტონი მოვიდა რუსეთითცა ძეი მეფისა ანტონი რ~ლიცა  
ჰყვეს მუნ როსსიას ეპისკოპოსად, ესე უკვე გამოირჩიეს და ჰყვეს კათალიკოზად, ხ~  
წელ

სა ჩღჰჰ, ქ~კს ჟოზ წარგზავნა მკედრობანი თვისნი განჯასა ზ~ა მივიდნენ შამქორს მო  
არბივეს ჩინგილი და აჰყარეს შამშადილი და მოიყვანეს უკანასკნელ თვით მეფე  
ცა შთავიდა შამქორს მუნ მოვიდა ფათალიხანი დარუბანდისა და მაჰმადხან შა  
ქისა დაასკვნეს წარსლვად სამთავე ყარაბაღსა ზ~ა ამად ვინადგან დაივიწყა  
იბრეიმ ხანმან კეთილობად მეფისა რაოდენგზისა განარინა იგი ხელისაგან ფათალი  
ხანისა

[აჰჰჰ] და ანუ ვითარ შემწე ექმნა ოდეს დაიპყრა მან ყარადალი და გილანი ამათ შვი  
ერთეს ჯავათხანცა, რ~ლსაცა ეპყრა კერძოდ იბრეიმ ხანისა გარნა ეგანრეზომა  
განზრახვასა მათსა უძლებ ყოფად ფათალიხანისა და უკუნ იქცნენ თვის თვისად.  
გარნა ძე არჩილისა ძმისწული მეფისა სოლომიონისა დავით იპოვებოდა მაშინ გამო  
დევნილი მეფისა და დავითისაგან და იზრდებოდა სახლსა შინა მეფისასა ვინადგან  
იყო

ასული წული მისი იქმნა უკვე სამდურავი ორთავე მეფეთა შორის და შ~ს მეფისა  
დავითისა და დადიანის გრიგოლისა იქმნა შური და განვიდა მეფე დავით და მო  
სწვა ოდიში შემთხვევასა ამას წარატანა მეფემან ირაკლი ძისა ძესა თვისსა ძ  
ესა გიორგისასა დავითს ძე არჩილსა დავით რათა წარგზავნოს იგი ოდიშსს,  
ხ~ მან წარგზავნა იხილეს რა ოდიშართა ძეი არჩილისა შეკრბენ მის თანა: სცნა  
რა ესე მეფემან დავით ამანცა შეიკრიბნა მკედრობანი იმერთანი და მივიდა ხუნწს მა  
შინ ძის ძემანცა დავით ჰყო მოძრაობად სამდვართა ზ~ა ზემო იმერთა ჰგ  
ონეს ვ~დ ქართველთა რეცა სწადთ გარდასლვა მუნ ჟამსა ამას შინა [წერეთელიცა]

სახლიცა წერეთლისა იყო ორგულ მეფისა დავითისა იკვეთნენ ხუნწს იძლივა მეფე დავით და გან

1-26 სტრ., 9r

ნივლტო ახალციხეს : ხ~ ძეი არჩილსა ჰყვეს იმერთა მეფედ. და უწოდეს სახელად სოლომონ მეორე: და მეფე დავით მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე და ამან დააგო მეფე

სა იმერეთისა წინაშე და ჰყვეს ზავ, კ~დ მოვიდნენ ახალციხით შეყრილობანი ლ ეკთან და დაეცნენ ძევერას გარნა მეფის ძის ძემ დავითმან სძლო მათ და განაზ ნივნა: იყო უკვე ხდომა ლეკთაგან ახალ ციხით და რყვნიდიან ქართლსა და სომხითსა. მით რამეთუ აღვიდნენ ძენი ერისთვისანი ახალ ციხეს და ზაქარია ციც ის შვილი სახლთხუცესი დედოფლისა მოვიდნენ და დაეცნენ ხელუბანს და წ არტყვევენეს იგი, კ~დ მოუცდნენ ჯიზიყს ჭარელნი სძლეს ქიზიყის მოურავს ზაქარიას და მოსწყვიტნეს უმეტეს სამასისა ქიზიყელნი, მაშინ შეყრილობანი ლე კთან ფ~დნი მოვიდნენ და დაეცნენ ყარაჯაღს სადაცა გორს მყოფნი მეფის ძენი იულონ ირაკლისა და ძის ძე მეფისა იოანე გიორგისა განვიდნენ, იქმნა უკვე ბრძოლა ზედა აველას მუნ მჭნედ იყო მეფის ძის ძე იოანე იძლივნეს ლეკნი და წ არვიდნენ სირცხვილეულნი რ~ლნიცა იყვნენ მოყვანილ ერისთვის ძის მიხაილისაგან: აშიაზე:

კ~დ მოჰძღვ  
ანა არღუთაშვი  
ლან მიქელამ  
ლეკნი მოჰძღვა  
და წარიღეს კრ  
წანისი, თჳმ  
ცაღა განვიდ  
ნენ მდეგარნი  
ქალაქით ა~დ  
ვერღა რა ეწივნენ  
კ~დ კ~დ მო  
ჰძღვა არღუ  
თაშვილი მიქელ  
და მოსტყვევენეს  
ყალაჩა სადა  
ცა წარიყვა  
ნეს უმეტეს.  
ორასისა ტყ  
ვენი სომეხთანი:

[და ზაქარია ციციშვილისაგან] კ~დ შეკრბა ლეკთა და თათართა მკედრობა მოვიდა და ა ღილო რუსთავი, ხ~ მეფე იძულებული წარვიდა მათ ზ~ა სადაცა წარგზავნა ძის



მე თვისი დავით რათა უყოს ზა დასხმა ჯავახეთს ხ მან წარგზავნა ხიდზე  
ევითი შეყრილობა თათართა და მოარბივეს ჯავახეთი და მოვიდნენ გამარჯვებულნი  
ალაფი

თა დიდითა და ლეკთა მათ განვლეს ტყით და წარვიდნენ მშვიდობით ახალცი  
ხეს მით რამეთუ მეფემან არღარა ამჯობინა მისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზა  
ხ წელსავე ამას ბრძანებითა მეფისათა, მიუხდა მეფის ძის მე დავით ყარსს ათასითა  
კაციითა და მოსტყვენვა, ინჯადარა ფალდ ერევანი და ჯომუშლი და აიალაფეს. უმ  
ეტეს ათასისა ტყვისა. მაშინ მოეწიათ უკანა მკედრობაი დიდი თურქთა მძღ  
ვანველობითა ალიბეგისა და მამად ბეგისა ძეთა ხათუნისათა: მუნ თვით მეფის ძის  
მე დავით იყო ფ დ მკნედ, რ ლმანცა ჰელითა თვისითა მოკლა თიქნისელი ხანი  
თოფა რჩეული მხედარი თურქთა შ: უკანასკნელ მოვიდა მას ზა იშიყ ბეგ  
გამოჩენილი მკედარი ყო  
ველსა ყარსსა და ქურთსა ზედან სადაცა მეფის ძესა დავითს სცა მან შვიდი

1-26 სტრ., 9v

ვრძალი გარნა დაიცვა იგი ჯაჭვმან ვინადგან აქვნდა დაფარვით ტანსა ჯა  
ჭვი უკანასკნელ მოკვდა ესეცა ჰელითა მეფის ძისათა: ესე იყო საკვირველ  
რ ლ ყრმა წლისა ოცდა სამისა და გამოუცდელი ბრძოლისა ესრეთ იყო  
დღესა მას მკნედ რ ლ განაკვირვანა ვა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი გარნა  
ბრძოლასა მას დაეფლა ლიასა ცხენი და გარდმოვარდა გაექცა ცხენი რ ლიცა  
შეიპყრა და მოართვა გულმაჰმადა სარვანმან ძემან შარიფასამან და აღჯდა კ დ მუნ  
მოსწყდნენ ბრ  
ძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურის შვილები რომელნიცა იყვნენ  
მკნენი მამაცნი:

აშიაზე

კ დ მოჰმდვა

არღუთა შვი

ლი მიქელა ახალ

ციხით ლეკთა მო

სტყვენვა გაურ

ახი, სადაცა ეკვეთა

საბარათიანოსა მ

ხედრობითა სარდა

ლი დავით ორბელიანი

დურნუკს მუნ

იძლივა სარდალი,

და მოაკლდა ჯმეტეს

ასისა ცოცხალი და

მკედარი

შემოვიდნენ საგურამოსა შა, უმეტეს ათასისა კაცისა

რ ლნიცა გაიყვნენ ორად. ნახევარმან წარილო პირუტყვი მახლობელ ქალა

ქით სადაცა ქიზიყს მყოფმან მეფის ძემან იულონ შეუკრა იორი განაზნ  
ივან ლეკნი იგი და მიულო ნატყვენავი მათი, ხ~ ნახევარმან აღილო  
ფრეზეთი და წარვიდა საგურამოთ დაღისტნად, მაშინ მეფის ძემან დავითმან მყოფმან  
მატანსა შინა მოიკრიბნა ახმეტელნი ვიდრე ასს კაცამდე შეუკრნა გზანი  
ჭინჭარისა,

სძლო მათ და მიულო ყოველივე ნატყვენავი და ტყვენავი, ესრეთ შიშვნეუ  
ლ იქმნენ ლეკნი რ~ლ ოდეს იწყეს რა ლტოლვაჲ ერთი მეორესა ჰყრიდიან ფლატესა  
ზ~ა ილტოსასა ვინ წინა უსწრას ურთიერთ არს რ~ლნიცა იყვნენ უმეტეს ხუ  
თასისა, ხ~ სისხლმან ლეკთა დაჯოცილთამან ს~დ შეღება წყალი იგი იტლოსი წი  
თლად, იქმნა კ~დ სამდურავი მეფისა სოლომონისა და დავითისა, მაშინ და  
ვითმან შემოიკრიბნა მცირედნი ლეკნი ახალციხით წელსა ჩღჟ  
ქ~კს ჟოჭ, სძლო მეფესა სოლომონსა და დაიპყრა კ~დ იმერეთი შე  
მოკრბენ ამას თანა ოდიშარნი და აფხაზნი მით რ~ მანუჩარს დადიანის  
ძესა აქვდა ამას თანა შეკრულობაჲ და ორგულ იყო ვ~ა ძმისა თვისი  
სა დადიანისა გრიგოლისა ეგრეთვე მეფისა სოლომონისა, მხილველმ  
ან ამისმან მეფემან ირაკლიმ, მიაშველა ძის ძეჲ თვისი იოანე მეფესა  
სოლომონს, მაშინ მეფე სოლომონ დამაგრებულ იყო სახლსა წ  
ერეთლისასა ვინადგან წერეთელი პაპუნა და ზჳრაბ იყო ორგულ მეფისა დავითისა  
იქმნა

1-25 სტრ., 10r

ლოსიანთ ხევს ბრძოლა იძლივა მუნ მეფის ძის ძისა იოანესგან მეფე დავით რ~ლ  
საცა ჰყვანდა უმეტეს ათის ათასისა იმერნი აფხაზნი და ოდიშარნი ხ~ ქართველ  
ნი არა უყვნენ უმეტეს ხუთასისა მით რამეთუ ზარბაზანმან დასცა მათ ზა  
რი : ამავე წელსა მეფის ძე მან დავით შემოიყარა კიზიყელნი მიუჭდა ბაიამათლოს და  
ფ

ადარს: და მოსტყვენვა დღესა მას, სამჯერ სძლო გამოსრულთა ლეკთა

მდევართა,

აშიაზე

*ხ~ ვინადგან აქვდა შჳრი ხანსა განჯისასა ჯავადს ალისჳლოთნისა შამშადილისა ზ~ა  
რ~ლიცა არა მორჩი*

*ლებდა და ძმასა*

*მისსა მაჰმადხანს*

*ჟეჟ ჴდგა კ~ლ ხანობასა მისსა აღ*

*ყარა შამშა*

*დილი და მოიყვ*

*ანა შჳლავერსა*

*ხ~ მჳნით მის*

*რჳლს შამშადილადვე დაესხა*

*მაჰმადხანს მხედრე*

*ბითა, გარნა სძლო*

*მან მაჰმადხანს*

და გარდა ამისა  
მრავალ გზის  
იძლივა ვა ხანი  
ეგრეთვე განჯ  
ელნი აღისულ  
თანისაგან. თუ  
მცალა მრავა  
ლ გზის უკუ უ  
ბრუნა და მოსცა  
მეფემან განჯელთა  
შამშადილი. გარ  
ნა არა ემონენ  
ამად დაიცა  
დრო, და მო  
უხდა, ჯავა  
თხან განჯუ  
რითა და მელიქ  
ებისა მხედრე  
ბითა, და მოს  
ტყვენა შამ  
შადილი რა  
საცა ჰყვა  
სტრ., 10v  
უმეტეს სამიათა  
სისა მხედრობანი,  
ხარდაეშველ  
ნენ ყაზახნი,  
სადაცა შეკრ  
ბნენ ყაზახ  
ნი და შამშა  
დინელნი  
უმეტეს არა  
სამასისა. ს  
ძლეს ჯავათ  
ხანს და შეიპ  
ყრეს უმეტეს  
რვა ასისა განჯ  
ელნი: და და  
უშთა ჯავათ ხანს  
თვისი ყოველივე  
ბარგი ჯორი  
და აქლემი. და

განივლტო  
სირცხვილე  
ჟლი.

კ~დ მიუხდა ბაიამათლოველთავე მეფის ძე ალექსანდრე და მოსტყ  
ვევნა იგინი: ხ~ გაირდაიცვალა რა ქარიმ ხან და ზაქიხანცა ძმაი მისი მოკლ  
ეს სპარსთა ბარბაროზებისა და ტირანობისათვის რ~ლისა შ~დ დაიპყრა სპარს  
ეთი. ალი მურადხან ზანდმან: და ოდეს გარდაიცვალა ესე მაშინ გამოჩნ  
და აღამამდხანად წოდებული ძეე მამად ასანხანისა გვარით ყაჯარი რ~ლიცა  
ჰყო საჭურისად ადილშამ, ძმის წულმან ნადირისამან ამან სძლო ჯაფარ ხა  
ნს ზანდასა და დაიპყრა არაყი. და მოვიდა ადრიბეჟანსა მუშკანბარსა ზ~ა მუნით  
აბირა

მეფე მეგობრობასა თვისსა ზ~ა და უკუნეცა შირაზად: ამად ვინადგან შირაზსა  
შინა იპყრობდა მაშინ ლუთვალისან ძეე ჯაფარ ხანისა ესე გამოვიდა.  
პირის პირ ამისა გარნა იქმნა ამბოხი შორის მკედრობისა, ამისსა რომლისა გამო  
განიბნივნენ მკედრობანი ლითვალნი ხანისანი და მივიდა ქირმანს განვლო ხოჯამან  
ალილო შირაზი წარვიდა და მოადგა ქირმანს და დაიპყრა იგი განივლტო  
მუნით ლუთვალისან რ~ლმანაცა განარღვივა ერთი კერძო მკედრობისა ხ  
ოჯასი ვინადგან იყო ესე ლითვალნი ხან ჟამსა ამას ესრეთი მცნე  
რ~ლ მსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არა იპოვებოდა ხ~ მისრული  
ბამს შეიპყრეს ესე ბამელთა და მოიყვანეს ხოჯასა წინაშე რ~ლსაცა ა  
ღმოხადნა თვალნი, მოიცალა რა ხოჯამ საქმისგან სპარსეთისა მო  
ვიდა და მოადგა შუშის, მით რამეთუ არა ერჩდა მას. ხანი შუშისა იბრეიმ  
გარნა ვერა აღილო ციხე ესე და მოვიდნენ ელნიცა ქართლისანი განვლტოტვილნი  
ძველნი და ახალნი და სხვაცა მრავალნი ყარაბაღისა მცხოვრებთაგანი შიშისაგან  
ხოჯასა მამ  
ინ მეფისა ძე იულონ და ალექსანდრე მიუხდნენ განჯას და მოსტყვევნეს რო

1-26 სტრ., 10v

რომლისა გამო განძვინებული ხოჯა წარმოერთა ტფილისსა ზ~ა ჟამსა მას  
ძე არჩილისა მეფე იმერთა სოლომონ იმყოფებოდა ტფილისს შემწედ პაპ  
ისა თვისისა პირველსა დღესა იკვეთნენ ველსა კრწანისისასა მეწინავენი  
სპარსთა და ქართველთანი, სადაცა მეწინავეთა შ~ს იმყოფებოდა მეფისა ძის ძე  
დავით წერეთელი ზურაბ მუხრანის ბატონი იოანე მოურავი ქიზიყისა ზაქარია  
და ამილახვარი ოთარ: დღესა მას იყვნენ მცნედ ქართველნი რ~ლთა ძლ  
ით იძლივნენ სპარსნი, ხ~ დღესა მეორესა ვინადგან იმერთა იწყეს ტ  
ყვენვა აყრილთა მათ მცხოვრებთა ტფილისისათა. დღესა მეორესა ა  
რღარა უვიდოდათ ორთავე მეფეთა მკედრობად უმეტეს ათას ხუთასისა  
კაცისა იქმნა ბრძოლა ველსა ზ~ა კრწანისისასა იძლივნენ ქართველ  
ნი და იმერნი განივლტნენ მეფენი, და აღილეს ტფილისი წელსა  
ჩღჟე ქ~კს ჟ~პ და მიუღეს ყოველივე თოფხანად მეფესა: დღესა ამას იყო  
მცნედ მეფის ძის ძე იოანე ესრედ უკეთუ იგი არა [იყომცა] იპოვა მუნ შეიპყრესმცა

მეფეი, ხ<sup>ე</sup> მეფის ძემ დავითმა შთაყარა ხევთა შინა საგუბარისათა ზარბაზანნი იგი რ<sup>ე</sup>ლიცა აქვნდა  
მას თაბორისა კერძო რათა არა დაუშთეს სპარსთა და ესრეთ განარინა,  
ხ<sup>ე</sup> აღიღეს ტფილისი და მოწვეს და თვით მეფე განივლტო მთიულ  
ეთს: და ჰყო უკვე ხოჯამან რვა დღე სოღალუხს მუნით აიყარა  
და შთავიდა მულანსა და მუნით წარვიდა ხორასანსა ზ<sup>ე</sup>ა, მაშინ მოვი  
და შემწედ ორი პატალიონი რუსეთისა მკედრობათაგანი იხილეს  
რა ლეკთა უძლურება ქართველთა შეკრბენ უმეტეს ათას ხუთასისა  
მივიდნენ ნორიას გარნა იძლივნენ ფ<sup>ე</sup>დ. მუნით განვლეს დიღომი  
ავლეს დიდ გორი და მივიდნენ კოთელიას მუნით წამოსრულნი მივიდ  
ნენ და დაეცნენ იედიბოლუქსა ზ<sup>ე</sup>ან დემურჩიასანს მაშინ მეფის ძის.  
ძე დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შ<sup>ე</sup>ა, სცნა რა მან მოიკრიბნა ბორჩალ  
ოველნი ვიდრე ასს კაცამდე ეწია იედიბოლუქს სძლო მათ და მიუ  
ლო. ყოველივე ნატყვენავი: ესრეთ შიშვნეულ იქმნენ ლეკნი რ<sup>ე</sup>ლ

1-26 სტრ., 11r

მოიშთვნენ მტკვარსა შ<sup>ე</sup>ა უმეტეს სამასისა და დღესა მეორესა შემოვიდა ტფი  
ლისად გამარჯვებული რ<sup>ე</sup>ლნცა შემოიტანა ჯორთა ზ<sup>ე</sup>ან აღვიდებული საპალნითა  
თავნი ლეკთანი ამას ზ<sup>ე</sup>ა განმხნდნენ ტფილისელნი დაიწყეს კ<sup>ე</sup>დ აოჯრებულ  
ისა ქალაქისა შენებად ხ<sup>ე</sup> იბრეიმ ხან შუშისა მოვიდა განჯასა ზ<sup>ე</sup>ა ვინადგან  
ხანი განჯისა იყო მიზეზ აოჯრებისა ყარაბაღისა და ტფილისისა სთხოვა  
მეფესა შემწედ რომელმანცა წარუვლინა ძეი თვისი ალექსანდრე და ძის ძეი  
დავით მივიდნენ ესენი განჯასა ზედა აღიღეს ქალაქი და მოსწვეს და რაოდენ  
გამოვიდოდინა ციხით განჯელნი ეგოდენ იძლეოდინა სადაცა ფიცხელად ბრძ  
ოდინა ქართველნი. რ<sup>ე</sup>ლ სიმხნესა მათსა განკვირვებულ იყვნენ ყარაბაღელნი.  
და ლეკნი, უკანასკნელ შთავიდა თვით მეფე გამოართვა ყოველნი ტყვენი საქარ  
თველოსანი დროსა ხოჯისასა ტყვედ ქმნილნი უმეტეს ათასისა, ზავ  
ყო განჯელთა თანა და უკუნ იქცა, ჟამსა ამას მოვიდა მკედრობად რუსთა მძღვანველო  
ბითა უვალერიანე გრაფ ზუბოვისათა ამათ დაიპყრეს დარბანდი, შამახია,  
ბაქი, და სალიანი წელსა ჩღჟვ ქ<sup>ე</sup>კს უპდ, მაშინ აღამამა  
დხან ხოჯად იპყრობდა ხორასანს დაპყრობისათვის მისისა რ<sup>ე</sup>ლნცა აღ  
იღო მაშათი ტყვე ჰყო ძის ძედ ნადირისა შარუხ და მიულო უმრა  
ვლესი ნაქონები. ხ<sup>ე</sup> უკანასკნელ მოიკლა ესეცა, ხ<sup>ე</sup> ზუბოვმანცა  
წარმოგზავნა მკედრობითა ლენერალ მაიორი კორსიკოვი. ამან დაიპყრა განჯა  
მუნ დაუტევა მცირედი მკედრობა და მოვიდა თვით ტფილისს მკედრობითა  
წელსა ამას გარდაიცვალა ეკატერინა იმპერატრიცა და იქმნა ძე მისი ჯელმწ  
იფედ პავლე. ამან უკუნაქცივნა ყოველნი მკედრობანი რუსთანი რუსეთ  
ადვე, ოდეს მოიცალა აღამამადხან საქმისაგან ხორასანისა წარმოემა  
რთა და მოვიდა შუშის სცნა რა იბრეიმ ხანმან მომავალობა მისი განი  
ვლტო სახლეულითურთ თვისით ბელაქანად, ხ<sup>ე</sup> აღამამადხანმან დაიპყრა  
ციხე მუნ მოიკლა ესე მონათა თვისთაგან წელსა ჩღჟვ ქ<sup>ე</sup>კს ჟჳე  
და უკუნ იქცნენ სპარსნივე თვის თვისად, ხ<sup>ე</sup> წელსა ამას

1-26 სტრ., 11v

იქმნა მეფე უძლებ წყლისა მანკიერებითა: ჟამსა ამას შთამოვიდა ომარხან მოწვა ველის ციხე და მუკუზანი და უკუნ იქცა და შთავიდა შაქად, ხ<sup>~</sup> მეფეცა გარდაიცვალა წელს ჩღჟჟ ქ<sup>~</sup>კს ჟჰვ და იქმნა ძე მისი გიორგი, ჟამსა ამას მოვიდნენ კ<sup>~</sup>დ შეყრილ ობანი ლეკთანი, და დაეცნენ კრცხინვალს და ვერა რადმე ჰყვეს გარნა უკუნ ქცეულთა შეემთხვა მეფის ძე იოანე დირბს და იძლივნენ მათგან მუნ მოიკლა ბრძოლასა შ<sup>~</sup>ა წინა მძღვარნი ლეკთა ჩინებული ალიფოლადად წოდებულნი, წარმოიშვა კ<sup>~</sup>დ სამდურავი შ<sup>~</sup>ს ქართლისა და ყარსისა მაშინ წარგაგნა მეფემან გიორგიმ ძე თვისი დავით და იოანე მიუხდნენ ყარს მოს ტყვევნეს გარემონი ყიზილ ჩახჩახისანი [ჩაჩჩჩ] გარნა გამოვიდა მკედრობითა დ იდითა ალიბეგ [გარჩა] იძლივა მათგან ესრეთ რ<sup>~</sup>ლ უმეტეს ორისა აღ აჯისა [სდღვეს ქართველთა ოსმალთა] სდევნეს ქართველთა ოსმალნი ჯოცითა და ჭერთა, ჟამსა ამას იყო ყაენად ბაბახან ძმის წული აღამამადხანისა და ვინადგან ესე აწვევდა მეფესა გიორგის მონებასა ამად იძულებულმან შეიტანა თავი თვისი მონებასა ქვეშე იმპერატორისა პავლე პეტროვიჩისასა, ხ<sup>~</sup> ამან წარმოუგზავნა დესპანი და სამეფონი ნიშანნი და ერთი პოლკი იეგირისა და შ<sup>~</sup>დ მოვიდა ერთი პოლკიცა მუშკეტერისა, [ჭაჩა] ხ<sup>~</sup> შთამოვიდა ომარხან ავადრელი ბირებთა იბრეიმ ხანისათა და დაიბანაკა კიდესა ალაზნისასა მუნ მივიდა მეფის ძე ალექსანდრე ვინადგან იყო ურჩი მეფისა წარმოვიდნენ და მივიდნენ პირისპირ ნიახურისა მუნ ეკვეთა მეფის ძე იოანე კახეთისა მკედრებითა და ექვსასისა რუსითა და რაოდენ იყო თვით მკნედ ეგრეთვე მკედრობანი კახთანი იძლივნენ ლეკნი და მოსწყდნენ უმრავლესნი. რ<sup>~</sup>ლიცა შეყრილობა ესე იყო ვიდრე ათი ათასისა კაცადმდე. და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი შთავლეს იორი მიუხდნენ განჯას გარნა მუნცა იძლივნენ, ხ<sup>~</sup> მეფე გიორგიცა გარდაიცვალა წელსა ჩყ ქ<sup>~</sup>კს ჟჰვ ხ<sup>~</sup> შ<sup>~</sup>დ მისსა ჰყვეს განმგედ და მმართველად ქართლისა პირმშო ძეი მისი

1-26 სტრ., 12r

დავით ბრძანებითა იმპერატორისათა: ვინაიდგან ჯერ იყო მეზრ ტრაქტატითა ესე იგი აღთქმისა პირობათასა დადებულთა შორის ეკატერინა იმპერატორისა, და მეფისა ირაკლისათა, რათა ბრძანებითა რუსეთისა კარისათა დაიდგინებოდეს მეფე. ამან იწყო მართვად [.....] ქართლისა ფ<sup>~</sup>დ გონიერად ვინათგან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა ვ<sup>~</sup>ა საღმრთოთა და ფილასოფიათა ეგრეთვე სამკედროსაცა შ<sup>~</sup>ა ვინადგან უწყოდა მან ვ<sup>~</sup>ა კანონი სამოქალაქო და სამკედრო აზიისა ეგრეთვე ევროპიისა აშიაზე

*ამან ანიჭა, კ<sup>~</sup>დ ძეთა ქსნის ერისთავთისათა*

*მამულივე მათი*

*ს<sup>~</sup>დ მიღებულნი*

მეფისა ირაკლი  
საგან ერთგულ  
ებისა მაგომათს  
მით რ~ აქვ  
ნდათ ფ~დი  
შეკრებულება  
მის თანა, და  
ერთგულება,  
ამან განაახლა  
ხიდი, გატეხილი  
ხიდისა, რ~ლიცა,  
შთაჭრა აღა  
მახმად ხანმა.

და მოელოდა მეფ  
ობისა დამტკიცებასა როსიით, გარნა გარდაიცვალა მყის პავლე პეტრეს  
მე წელსა ჩყა ქ~კს ჭპთ, და ვერღარა სრული იქმნა საწადელი  
მისი, ვინაიდგან იმპერატორმან ალექსანდრე მემან პავლესამან წარმოგზავ  
ნა ლენერალ ლეიტენანტი კნორინგი. მაშინ მკედრობანიცა რუსთანი  
უმეტეს ათისა ათასისა შემოსრულ იყვნენ ქართლში. მოვიდა იგი, მაშინ  
ორგულ ექმნენ მეფისა ძესა დავითს. რაოდენნიმე მახლობელნი თვისნი ბირე  
ბითა კნორინგისათა, რომელმანცა აღუთქვა მათ შ~ი [საკვირველი] სასყიდელი დიდი  
საკვირველი, რ~ლ თვით  
მათ იწყეს. უკანასკნელ სარჩულად რუსთა ზ~ა და ხადოდენ თავსა თვისსა ა  
ხლად იუდად. ვინაიდგან შესცდნენ ვერცხლისათვის, გარნა ვერა რაიმე მი  
იღეს, სასყიდელი და იქმნენ საკიცხველი ყოველთაგან, მან განაწესა მეზრ  
კანონისა მათისა, ვ~ა მას სწადდა ყოველივე კანონი სამოქალაქოდ და უ  
კუნ იქცა რუსეთად, ხ~ წელსა მეორესა მოვიდა კ~დ ამან აფუცა ერნი ერთ  
გულებასა, ზ~ა როსისისასა რ~ლთა შეკრებილთა სიონსა შ~ა შემოახვივა მკედ  
რობა, ხ~ ქართველთა შიშნეულთა ჰყვეს ფიცი მსწრაფლ, და მოასვენა ჯ  
ვარი იგი წმიდისა ნინოსი წელსა ჩყბ. ქ~კს ჭჷ, რ~ლ  
იცა პ~ლ მოიპარა და წარიღო არშას ციხით რუსეთად, მთავარეპისკოპოზმან რომანოზ  
არაგ  
ვის ერისთავის მემან, ხ~ აწ კ~დ მოსცა იმპერატორმა ალექსანდრე ქართვე  
ლთა, დაუტევა მუნ კავალინცი განმგედ და თვით უკუნ იქცა, რუ  
სეთადვე, კ~დ აღდგნენ ლეკნი და იწყეს ტყვევნა ქართლისა დაესხნენ ორგ

1-25 სტრ., 12v

ორ გზის ქარელსა და მოსწყვიტნეს მრავალნი მუნებურნი, კ~დ მიუხდნენ და წა  
რტყუვევნეს ყელ ქცეული ეგრეთვე ქენფერი, მსგავსისავე სახითა კახეთიცა წარ  
იღეს მელაანი, კ~დ შეკრბენ ჭარელნი მოვიდნენ და წარიღეს ივრით ცხოვარი  
თუშთა. ვიდრე ოცდა ათი ათასადმდე, რომლისა გამო გამოსცვალეს კნორინდი

და ნაცვლად მისსა განაწესეს ღენერალი ლეიტენანტი ციცის შვილი რომლისა მამა დროსა ვახტანგ მეფისასა გარდასრულ იყო რუსეთად. კაცი ესე იყო გონ ება ვნებული და ცნობა მიკდილ ვინაითგან გვართა მათ შორის ზოგად არა იშვიათ არს ესე სენი ესე მოვიდა წელსა ჩყგ. ქ~კს ჟჟა, ჟამსა ა მას იყვნენ ძენი ქართველთ მეფისანი მოწოდებულნი რუსეთად იწყეს რა მათ მზადებად წარ

სვლისათვის რუსეთად, ციცის შვილმან არღარა აცადა მათ მომზადებ ად ა~დ დაესხა ღამე ვ~ა ავაზაკთა ზ~ა და წარგზავნა რუსეთად. შ~დ ამისსა შეუსივა მკედრობანი ღენერალ მაიორი ლაზაროვითურთ. დედოფალსა ციცის შვილის ასულსა მარიამს მეუღლესა მეფისა გიორგისასა რათა იძულ ებით და გამოთრევით წარგზავნოს რუსეთად [~~და დაჰკოდესცა დედოფალი~~] იქმნა მჟნ შფოთი სადაცა რუსთა დაჰკოდეს ჳრმლითა ორსა ადგილსა მკლავსა შინა დედოფალი მარიამ და ამა შფოთსა შინა მოკვდა ღენერალი მაიორი ლაზაროვ ხანჯლით რომელ არა სადა ცხად იქმნა მკვლელი მისი ხ~ ესე დედოფალი დაკოდილი მსგავსად ტყვეებისა შვილებითურთ თვისით წარიყვანეს რუსეთად, რ~ლისა ჳვრეტა მჳვრეტელთათვის იყო საზარი და დააპატიმრეს მონასტერსა შინა ბელოღორო დისასა, ვინაითგან ციცის შვილმა დასწამა სიკვდილი მისი მას, ხ~ დედოფალი დარეჯან დადიანის ასული მეუღლე მეფის ირაკლისა დაშთა უძლებობისა გამო ტფილისს ამან წარგზავნა მკედრობად ბელ აქანსა ზ~ა და მოსწვეს ბელაქანი, გარნა მაშინ ვერა აღვირასხა ლეკთა კადნიერებასა მით რამეთუ მოვიდნენ ქარელს და მოსწყვიტნეს რუსნი უმეტეს ასისა, ეგრეთვე წარიღეს ჩივაზიანთ კარი და წარასხეს უმეტეს ასისა ტყვისა, კ~დ ბელაქნისა მახლობელ წარიღეს უმეტეს ხუთ ასისა ცხენისა რუსთა და ეგრეთვე მახლობელ ქალაქით წარიღეს უმეტ

1-9 სტრ., 13r

უმეტეს ოთხასისა ცხენი და იყო მრავალი ვნება ლეკთაგან, კ~დ სიფიციხითა ბოროტებითა, ციცის შვილისათა ვნებულ იქმნენ უმ რავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი და წარივლტნენ სპარსეთად ეგრეთვე მეფის გიორგი ძე თეიმურაზცა ვნებულნი ციცი შვილისაგან წარვიდა სპარსეთად. ჟამსა ამას კ~დ იქმნა მომსვრელი სენი ყოვლისა საქართველოსა შ~ა სადაცა მიეცა ერთა მუნებურთა ამა უბედურისა შემთხვევისა გამო მრავალი ვნებად გარნა უკანასკნელ წარ იყვანეს როსად, დედოფალისცა დარეჯან